



ეთიკის კომისიის რეკომენდაციის №004/17¹ მიმოხილვა

1. შეკითხვა

ეთიკის კომისიას მიმართეს შემდეგი შეკითხვით - ადვოკატი ამჟამინდელი კლიენტის დასაცავად მისი ყოფილი, გარდაცვლილი კლიენტის შესახებ დისკრედიტაციული ინფორმაციის გავრცელებით დაარღვევდა თუ არა კონფიდენციალობის პრინციპს.

2. სამართლებრივი მსჯელობა

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 5 „დ“). კონფიდენციალური ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით... (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 4.1). კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.2). ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ... (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.3).

კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის ვალდებულება დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, ინფორმაცია, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვა.

როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატს სურდა, რომ მისი ამჟამინდელი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოეყენებინა მისი ყოფილი კლიენტის - გარდაცვლილი პირის შესახებ ინფორმაცია. თავისთავად, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება არ არის აკრძალული, თუ დაცული იქნება საადვოკატო საქმიანობის პრინციპები. მოცემულ შემთხვევაში, ყოფილი კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციის გამჟღავნება მისი დისკრედიტაციის მიზნით, დაუშვებელია. გასული დროის მიუხედავად და კლიენტის გარდაცვალების შემდეგაც, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გამჟღავნოს და არ გამოიყენოს მის საწინააღმდეგოდ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაცია.

3. დასკვნა

ადვოკატი დაარღვევდა კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს, თუ მისი გარდაცვლილი კლიენტის შესახებ ინფორმაციას გამჟღავნებდა და გამოიყენებდა მისი დისკრედიტაციის მიზნით, არსებული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

¹ ეთიკის კომისიის 2017 წლის 19 მარტის რეკომენდაცია 004/17
<https://gba.ge/pdf/5c7402c9d3b7f.pdf/19%20March%202017%20004.17.pdf>